

# თეატრი

№ 48

საყოველ-კვიროს სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 48

30 ბიოგრაფიკონი

გამოიცვება ყოველ კვირას

1886 წელს.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა  
ერთის წლით..... 5 მან. X ნახევარ წლით.... 3 მან.  
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება:  
თბილისში რედაქც. კონსტანტინე პოლონსკის ქარვას.  
ფოთში ბ-ნი ბესარიონ კვანდაქსთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისუილება: **თბილისში:** ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედროვის სააგენტო კონტორაში, ლიხანოვის პაპი-  
როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. **ქუთაისში** კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და **ბათუმში** პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსონდენციები, ლექსები და  
სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა  
შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ  
ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-  
რულობს.

რედაქცია უპორზილესად სთხოვს ბ-ნთ წერილების ავტორთ  
სტატიები გარჩევით იყვენ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტო-  
რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Арцруни № 110

## ქართული თეატრი

დღეს ქართულ დრამ. დასისაკან წარმოდგე-  
ნილი იქნება:

I

### ალერსთა პადე

კომედია 3 მოქმედებ. გადმოკ. პ. უმიკაშვილისაგან

II

### დივერტისმენტი.

მონაწილეობას მიიღებენ: მ, საფარ-აბაშიძის  
ნ. გაბუნ.—ცაგარლისა მელიქოვისა, ლეონიძისა,  
ბ-ნი აბაშიძე, მესხიევი; აწყურელი; ტყვიაველი, ნე-  
ბიგარიძე და სხვანი.

დასაწყისი სწორეთ 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

## ორი სურათი.

ოქს სახეს-მხატვრობას თვალი უმზერს;  
ვინ დასატა ესე მშენებურება!  
შეხედავ და გული სარობს და გაიკვას;  
უმზერ, უმზერ და კვლავს მოადება!

ერთმანერთსა ჭკვანას ვით ნამის ცვარნი;  
უნდა იყვნენ ორნივე მისვე ერთისა,  
ისივე დაწინი და ბავნი ტურფანი,  
შვს წამ-წამს ქვეშ ისივე ნათელი ცისა,  
ისივე ის თმა აბრეშუმი, გაშვარი  
გარდაშლილსა სპეტაკს მკვლავსა და მხკებსა,  
ისივე სხსე, ნაზი და მშენებურა,—  
მაგრამ ზოგმიც არ ჭკვანას ერთმანერთსა.

ერთი მხათობს ვით მზის სხივზედ ცისკარნი,  
თითქოს ამობს: „შემომხედეთ რა ვარო!

მხედრით ნათელს, ან მინასავს დღე მწარე  
ნის ვარსკვლავს, გაფურჩქილ ვარდს გვეკარა!

მეორე მკმუნავი, თავ-მისრდილი,  
ტურფა თვალი აქვს მოცული ბუნდითა,  
ხელნი გუფხედ, ოცნებას მინდობილი  
ჭკაკს მთიებსაც წის ღაჟვარდში დილითა.

არხედვე კი სხანს ისევ მადლი მღვთისა:  
ისევ იგი სიმჟიდე, გულ წრფელობა,  
ისევ იგი თვალში სიწმინდე წისა,  
ისევ ტურფა სხანს მოწყობილობა!

ვინც გხატავდა. ნეტა მაშინ რას გძმობდა,  
რაც მის წინ იჯექ თმა გარდაშლილი?  
უგაგადად მადლის გძმობითა თრთოდა,  
დაბუჭდა გულს მწარე სიუგარული.

### მთხრობანი

ლოთი კაცის სრკვდილი.

(გაგრძელება.)

მთელს სამ დღეს ერთად დაჯეყეს სამნივემ კარ-  
ში გამოუსვოვლად, ქალიშვილი მესამე დღეზე უფ-  
რო ავად გახდა და უკანასკნელი საკმლის ნაკცეცე-  
ცები კი შეეჭამათ, მეტი გზა არ იყო, ერთი მათგან-  
ნი უნდა წასულიყო რამეს საშოვრად. რდგან ქალი-  
შვილი ძალიან სუსტად იყო, დაღამდა თუ არა მა-  
წანწალა-მამა გავიდა ოთახიდან.

იმან იშოვა ქალიშვილისათვის წაშალი და ცო-  
ტა ფულიც, ასე რომ ორ-სამ დღეს სიცოცხლის გა-  
გრძელება შეეძლოთ კიდეც. ღამით ის წავიდა შინისა-  
კენ. იმას სირაჯხანასთან უნდა გაეელო; იგი ერთს  
წუთს შეჩერდა აქ, გაუარა გვერდს, გამობრუნდა,  
ისევ შეჩერდა ცოტა და ბოლოს შევიდა. იმან ვერ  
შენიშნა იქ ორი უცნობი კაცი, რომელნიც შემსე-  
ლვლებს ათვარიელებდნენ. ის ისინი იყო ანებებ-  
დნენ თავს თავის უნაყოფო ძებნას, რომ მისმა გა-  
ჩერებამ და გამობრუნებამ მიიქცია მათი ყურადღება.

— გცივა... დალიე ერთ ჭიქა ჩემთან, ძმობი-  
ლო, — სთქვა ერთმა მათგანმა და მიაწოდა ჭიქით  
ღვინო.

— მეც მცივა, — სთქვა მეორემ და დასჯილ  
თუ არა, გაივსო ჭიქა მაწანწალამ მოიგონა თავისი  
შედეგები და ის ბადე, რომელშიაც მისი ვაჟი-შვილი  
იყო გაბმული. მაგრამ რა იყო ეს ლოთისათვის? იგი  
სვამდა და თან მონებაც ეკარგებოდა.

— ნისლიანი და ბნელი საღამოა, უფალო ვარ-  
დენ, — წასჩურჩულა ყურებში ერთმა უცნობთაგანმა,  
როცა იმან დაპირა შინ წასვლა და ნახევრად ფული  
შეკმული ჰქონდა. ვინ იცის, ვგებ მისი ქალიშვილის  
სიცოცხლე იმ ორიოდვე გროშზე იყო დამყარებული.

— სწორედ იმისთანა ღამეა, უფალო ვორდენ,  
როგორიც დამალულებისათვის საჭიროა, წასჩურჩულა  
მეორემაც.

— გამიგონე კაცო, — სთქვა იმან, რომელმაც  
პირველად დაიწყო ლაპარაკი, და მიიყვანა კუთხე-  
ში. — ჩვენ სულ ერთს ახალ-გაზნა გაქცეულს ვეძებ-  
დით, გვინდოდა მი.თვის გვეთქვა, რომ ეხლა დროა  
და მზათაც არის-თქო ყოველისფერი, მაგრამ ვერ  
ვებოვეთ, რადგან თვითონ ვერ მოახერხა ერთხრობი  
ჩვენთვის თუ სად დაიმაღლა ლონდონში როცა  
მოვიდა. იგი ხომ აქ არის? მამამ უარი განაცხადა.  
ეცნობებმა ერთმანეთს გადახედეს.

— გემიც მზათ არის, რომელიც აქიდან უნდა  
გავიდეს შუა-ღამეს, როცა წყალი მოიმატებს, — გა-  
აგრძელა პირველმა მოსაუბრემ, — და იმას ჩვენ ვალ-  
მა გავიყვანთ. ჩვენ იმისთვის სხვა სახელით წასვლა  
მოვანერხეთ და უკეთესი კიდეც, რომ ფულიც გა-  
დავიხადეთ მის მაგიერ. ბედნიერება ისაა, რომ შენ  
აქ შეგვხვდით. იმათ მამას უფრო და უფრო დააღე-  
ვიეს ღვინო, და ხუთი წუთის შემდეგ მამამ, თვი-  
თონაც არ იცოდა როგორ, გადასცა თავისი შვი-  
ლი ჯალათს...

მძიმედ და მოწყენილად მიდიოდნენ საათები  
და-ძმისათვის; ისინი ძალდატანებით უგდებდნენ ყურს  
უბრალო შრიალსაც კი. ბოლოს შემოესმათ ფეხის ხმა  
კიბებზე და მამაც შემოჭრა მალე შინ.

ქალიშვილმა შენიშნა, რომ მამა მთვრალი იყო  
და მიეგება სანთლით ხელში; მაგრამ უეცრად შეჩერ-  
და, შეჭკივლა ხმა-მალა და უგრძობლად დაეცა  
იატაკზე, იმან დაინახა უცნობი მამა-კაცის ჩრდილი,  
ორივე უცნობნი შეცვიდნენ ოთახში და ერთი თვა-  
ლის დახამხამებაში ახალგაზდა დატუსაღებული და  
ხელე მკერული ეგდო.

— ბებერის წყალობით ყოველისფერი მშვიდო-  
ბიანად და კარგად ვათავდა, — უთხრა ერთმა მძებ-  
ნელმა (СЫЩИКЪ) მეორეს. — ააყენე გოგო, ტომ;  
ადექ, ადექ, გოგო, — ცრემლებით უბედურებას ვერ



დაენმარები საქმე გათავებულა და ეხლა იმას ვერ მოაბრუნებ.

დაქერილი ერთ წუთს აცქერდებოდა თავის დას და შემდეგ კი მრისხნე თვალთ მიჰმართა მამას, რომელიც კუთხეში მიკრუნჩხულიყო და უცქეროდა გარშემო მყოფთ.

— დამიგდე ყური, მამავ, — სთქვა შევიღმა იმნაირი ხმით, რომ მამა შეჰკრთა. — მე ერთ-ჯერჯ არ მახსოვს, რომ შეგვეხედოს ჩემთვის, როგორც მამას, არაოდეს არ გამიგონია შენგან საამო სიტყვა, შენ ჩემზე არაოდეს არ ზრუნავდი, მე ამას ვამბობ ვამბობ თითქმის კუბილამ და გაფრთხილებ, მამავ, რომ შენ როცა მამა ღმერთთან ჟარსდგები, — შენთან ერთად ექნებიან შენი შეილები იმან მუქარით ასწია შებაწრული ხელები და ერთი კიდეგ გადაჰხედა ყვედრების თვალთ მოკანკალე ბებერს და გავიდა ოთახიდან. არც მამას და არც დას აღარ უნახავთ იგი.

ზამთრის დილის ბუნდიანმა და ნისლიანმა სინათლემ გაანათლა ვიწრო ქუჩა და შეაშუქა ოთახის ქუჭყიანს ფანჯრებში; ღოთამა-კაცმა გამოიღვიძა თავის ღრმა ძილიდან; თავისთავი ქვეყანაზე მარტოდ-მარტო იგრძნო ის ადგა და აათვარიელ-დაათვარიელა ოთახი, ძველი ლეიბი იატაკზე ევლო აუკეცელი. ყოველისფერი ამ ოთახში იმ სახედ იყო, რომ კაცი ვერ იფიქრებდა თუ ვინმე სცხოვრებდა იქა ბებერმა თავის მეზობლებს და მდგმურებსაც ჰკითხა, მაგრამ მისი ქალიშვილი არავის არ ენახა და არც არაფერი იმაზე გავგონათ რა. ის მაშინვე ქუჩაში გავარდა და დაუწყია აჩქარებით ძებნა ხალხში ფერ-წასულ და გამხდარ ქალს, მაგრამ ამაოდ. საღამოს ის ისევ მარტო დაბრუნდა სირბილით დაღალული, რამოდენიმე დღე გააგრძელა ძებნა, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნო თავის ქალიშვილისას და ერთი სიტყვაც ვერ გაიგონა მასზე. ბოლოს, სასაოწარკვეთილებაში ჩავარდა და ხელი აიღო ძებნაზე. იგი დიდი ხანია, ჭფიქრობდა, რომ ქალიშვილი იმას მიატოვებდა, წავიდოდა სხვაგან და სჭამდა პურს თავის შრომით მშვიდობიანად და მოსვენებით, აი, მართლაც დაადგო მარტო იმან ის სიმშვილისაგან მოსაკლავად. მამამ კბილები დააკრაჭუნა და დასწყევლა ქალიშვილი. გლახაკი დაიარებოდა და თხოულობდა პურსათვის თითოველ გროუნს; რომელსაც გამოსტყუებდა ხოლმე გულშემატკივარ და სუსტი ხასიათის ადამიანებს, მაშინვე გაიქცეოდა და ჩვეულებრივად ღინოს გადაჰკრავდა.

წელიწადმა მის წინ უცებ გაიბრინა; მის თავ-შესაფერებლად უკანასკნელი თთვებში მარტო ვირის აბანო იყო იმას ეძინა ხოლმე ალაყაფის კარებში და

გაცივებულ სახლებში, ერთი სიტყვით, რჩებოდა ყველგან, სადაც კი თავს დაიფარავდა წვიმისა და აოჯლისაგან; მას ლოთობაზე მაშინაც კი არ აუღია ხელი, როდესაც ჩავარდა უკიდურეს სიღარიბეში, წვა-გლეჯაში და სხეულის საშინელ სისუსტეში. ბოლოს, ერთს ძალიან ცივ-ლამეს დაეცა მაწანწალა უგრძობლად ერთი დიდი სახლის წინ.

უკანასკნელ დროს ლოთი ისე ჩამოხმა, რომ ტყავი და ძვალი დარჩა მარტო და ამასთანავე რალაც მოვილინებას წარმოადგენდა. ლოყები ჩაუფარდა და დაუღურჯდა, თვალები ჩაუცივდა და ჩაქრნენ, ფეხებს უკანკალეობდა და მთელ სხეულში თავიდან ფეხებამდის ქრუსტული უვლიდა.

დიდ ხანს დაფიწყებული შემთხვევანი თავის სირცხვილეთულად დაღუბული სიცოცხლისა ამის აჭრელებული სურათის მსგავსად წარმოუდგა თვალების წინ მაწანწალას მოაგონდა ის დრო, როდესაც სტკებოდა შინ კერასთან, მოაგონდნენ მოყვრები, რომელნიც იმას ანუგეშებდნენ, აგრეთვე მოეჩვენა მაწანწალა-ლოთს, რომ ეითომ მისი შეილები საფლავიდან ამოსულან და დგანან ცხადად, გარკვევით მის წინ, როგორც ცოცხლები: შეეძლო მათ გრძობა და შენება ეს სულ ერთს წუთს გაგრძელდა. წვიმა, როგორც კოკილამ, ისე ასხამდა. სიცივე და სიმშლილი მუსრის აღენდნენ საცოდავს.

ადგა ფეხზე ლოთი და რამოდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გადასდგა. ქუჩა დაცარიელებულიყო: ჩვეულმა ქრუანტელმა ისევ გაურბინა ტანში და ძარღვებში, სისხლი გაუცივდა. იმან კუთხეში მიუხვია და ალაყაფის კარებში უნდოდა დაეძინა, მაგრამ მის უძრავ და ჩამკვდარ თვალებს ძილი არ მოსდიოდა. ღოთამა ცხადად, გაგებით დაიწყო ბოდვა. იმის ყურებში აშკარად გაისმოდა ყვირილი და ხარხარი თავზე ხელ-აღებული ლოთებისა, კიქა პირთან ჰქონდა, დაზვავზე უცხო უცხო საქმელები აწვივა და ეს ყველაფერი მის თვალ წინა: იგი ცოცხლად ჰხედავს ამას, ხელის გაწვიდის და აღების მეტი არაფერი უნდა; იგი ჰგრძნობდა, რომ ყველასაგან მტოვებული ესმოდა რომ წვიმის მძიმე წვეთები სასტიქად სცემდნენ ქვებზე, რომ სიკვდილია მის ზურგის უკან მოიპარება და ერთი სულიერი კი არაინაა იმაზე მარტოეული და იმის შემწე.

უეცრად იგი შეჰკრთა საშინლად შეშინებული. იმას მოესმა თავისივე ხმა კი ამის მღუმარებში ღოთის ვერ გავგო როგორ და რა მოჰხდა. აცა, კენესა!... ერთხელ კიდეც!.. ცნობა ეკარგება რალაც უაზრო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისერიდა

პირადამ, ხელები თრთოლით, მაგრამ ძალდატანებით ცდილობდნენ შემოეგლიჯათ ძელებისათვის ხორცი საკრდავი ჭკუაზე შემლასთან ახლო იყო და, სანაე ხმა არ წაერთო, სულ ჰყვიროდა მიშველდებოდნენ; ცოტა აიწია და გაჰხედა გრძელ ქუჩას, არენ არ მოჩანდა.

მოიგონა ლოთმა, რომ ბევრი მისი მსგავსი, რომელთაც ჰხვედრიათ ქუჩა-ქუჩა დღე და ღამე წანწალი, ხშირად მარტოობის გამო ჭკუაზე შემლილან, მოაგონდა აგრეთვე, რომ რამოდენიმე წლის წინეთ იმას უამბეს, თუ როგორ ერთხელ მივარდნილ კუთხეში უსახლკარო გლახაკი იღესავდა თავის დაქანგულ დანას, რომელიც გულში დაიცა, რადგან სიკვდილი ამჯობინა წანწალას. ბებერმა მიიღო ამგვარი გარდაწყვეტილება, ფეხებში ახალი ძალა მოეცა: იგი საჩქაროდ მოშორდა იმ ადგილს და გაიქცა სულმოუბრუნებლად, სანამ მდინარის პირას არ გაჩნდა. ტყვესაც, რომელიც თავისუფლებას მოელის, არ უცემს ხოლმე ისე გული, როგორც ლოთის გული სცემდა სიკვდილის წინაშე იმას ვერაინ ვერ მოასწრო თვალი და როგორც მისწოდა თუ არა შორს ფეხის ხმა, ის გაფრთხილებით წარსდგა ხიდის ბნელ თალ ქვეშ.

წყალი მოდიოდა და ამხაზუნებდა მის ფეხებზე. წვიმამ გადაიღო, ქარი აღარ იყო და ჩამოვარდა ისეთი სიჩუმე და სიწყნარე, რომ ადვილად გაიგონებდა კაცი მდინარის მეორე ნაპარზე წყლის ხმასაც მძიმედ მიაგორებდა მდინარე თავის ტალღებს; საკვირველი სახე ჰქონდა ზვირთებს; ისინი, შავად ბრწყვირვალენი, თითქო დასცინოდნენ მის გაუბედაველობასო; ამასობაში ვიღამაც უკანადამ ჩამძახა წაქეზებით, იმან უკან დაიწია, გაიქცა და შემდეგ და სასაწარკვეთილებით გადავარდა წყალში. რამოდენიმე წუთის შემდეგ იმან ამოჰყო თავი წყლიდან... მაგრამ როგორი ცელილება მოჰხდა ასე მცირე ხანს მის გრანობებში და აზრებში! სიცოცხლე, სიცოცხლე როგორიც უნდა იყოს—სიღარიბეში, უბედურებაში, სიმშლიში, სულ ერთია, მხოლოდ სიკვდილი კი არა! იგი სასტიკად ებრძოდა ზვირთებს, რომელიც თავზე ევლებოდნენ, და გამწარებული იბრძოდა ამ სიკვდილის განწირულებაში. ვაჟი-შვილის წყევაკრულვა გასწიოდა მის ყურებში. ნაპირი!... ოჰ, ერთი ხელისდადება ხმელი მიწა მანც!... ლამის მიუახლოვდა კიბის პირველ საფეხურებს, მაგრამ წყალმა გამოატრიალა საჩქაროდ და შეავდო ხიდის თაღებ ქვეშ, დასძირა კიდევაც...

იგი კვლავ ამოავდო წყალმა და ისევ და ისევ დაიწყო ბრძოლა სიცოცხლისათვის. ერთი თვალის

დახმხამებაში ნითლად დაინახა იმან შენობები ნათებული ფარნები იმ ხილზე, რომლის თარებ ქვეშ მდინარემ გაარბენინა, შავი ტალღები, მოკაშკაშე ვარსკვლავნი და ვაჩქარებული ღრუბლები... იგი ისევ დაძირა და ისევ ამოიყურა უმაღლავა. ელავდა ცრადმ ღვდა-მიწამდის და მის წინ ყოველიფერი ტრიალებდა. წყალმა ქუხილი დაიწყო მის ყურებში...

ერთი კვირის შემდეგ, რამოდენიმე ვერსის მანძილზე ქვემოთ, წყალმა გამოავდო ნაპირად გაბერილი და საზიზღრად დამახინჯებული—ვერავისაგან ვერცნობილი და არავისაგან არ დატირებული გვაში ლოთი-კაცისა მალე მიაბარეს შავ-მიწას, სადაც ის რა ხანია დალბა კიდევაც.

ი. ხოტეველი

დასასარული.

ლექსები

ჭერის გუთანს რომ შევხამ, კამბეჩებით სსხრითყეო; პური აღარ მოგვივიდა მჭად გულის უურს დაჟურყეო სსდაც სოფელში გაკეუნტდი სულ უივილით აჟურყეო.

გზს სიარულმა გაღია, სიბი ქვა წყლისა დენამა, უმწვიფი ბიჭი დაღია ღამასი ქალის ცქერამა.

პატარა გოგოს უყვარდი, პატარა წითელ თიანსა, ისეთი ჭქონდა ღოყები, უგამდა წითელ ქლიავსაო.

(შეკრებილი ვნაუნა ევა რაჟდ. ციციშვილისაგან).

ცუდაც ცუდი ქვეყანა, ცუდის აკანინც ირწება, ზოგის აქეს ღხინის ქარწილი, ზოგი სიმწარით იწება.

ერთი ვინმე მოყე ვნახე, ნამტირალა წყლისა პირსა, კეუბენ და არ მეუბნა, სული აიფარა პირსა, დაჭკარქოდა გულის სსტრფო, დანა არ უხსნიდა პირსა.

შენს იქით ერთი ვეღია ია და ვარდი ჭფენია, გომვი დგას მარმარალასი, ცას წვერი მიუბჟენია.

სიკვდილმა ჩამოიარა, ობოლი დაჭსკდა წინაო, სიკვდილი მე წამიყვანე, ობლობა მომეწყინაო.

ცისის საგებლად გავგზავნე, ზედ დასცემია ქვანია, მახარობელი მოვიდა ქალა მოგიკვდა ქმარია. სამასარობლა გავიდე სამასი სული ცსკარია, იმასაც არ დაჯაჯერე ზედ შემოვარტყი სმალა. შეკრებილი ვანეთში აზოლონ გოდერძისშემლისაგან.



ქართული  
ბიბლიოთეკა

სინდრონს სომ ჯერ მასზედ მსჯავრი  
არ წარმოუთქვამს.

მანასე

სალხი უერს უგდებს  
ცრუ-მოწმუნებს და არა მსჯავრსა.  
ეს ურთელსაც ეტოდინება.

(შედის ოთახში. სილვა ტერასიდან ჩამოვა).

ოხანი.

საშინლად მიკვირს დე-სილვა! ნუთუ  
შენ შენი აზრი გამოიცვალე?

სილვა.

არავის, არსად ნება არა აქვს  
სასამართლოსა მსჯავრი დასწრას.

ოხანი.

რას მესმის? ამას ის კაცი ამბს,  
ვინც შეჩვენა მისი თხზულება?

სილვა.

მე შევჩვენე? განა აშკარად  
ვისთვისმე მითქვამს მე ჩემი აზრი  
მის თხზულებაზედ?

ოხანი.

სილვა! აქ ყველამ  
იცინა, რომ შენ აკოსტაზედა  
შეატყობინე სინაღოდსა  
«იგი არ არის ებრაელი»!

სილვა.

შენ შენებურად ქმარტაკ ჩემს სიტყვებს...  
მე როგორც კხედავ, ვერ გაგიგია...  
დაედსენ მაგას...

ოხანი.

კარგად გაგიგო,  
რომ შენ გსურს ახლად ურთელისა  
მიფარველი იყო...

სილვა.

კარგია! კმარა!  
სულაც არა ვარ მისი მიფარველი...  
მას ვი ვგვრძობ... თითქმის დასაჯვრია,  
რომ მე სრულიად გამოვიცვალე!

მე, მეგობარო, ყველაფერს გეტყვი,  
თუ რასა ვგრძნობდი, რას მის თხზულებას  
ვიკვლევდი...

ოხანი. (იქით).

ოჰ, რადასაც გავიგებ!

სილვა.

მე ჩავიკვტე კარები ჩემის  
კაბინეთისა და ამ წიგნს დღე-ღამე  
ჩავეურებდი შიგ, და რა ვიგრძენი?  
რამდენსაც უფრო ვკითხულობდი მას  
და მის აზრებს ღრმად ვუკვირდებოდი,  
იმდენი უფრო გულს მეშვებოდა...  
ვგრძნობდი, რომ ჩემში გრძნულის ძალით  
ვვლავ მეცნიერი მკვლევართა სდებოდა...  
ჩემს თავს მედამ მას ვეუბნებოდა:  
არა, არა ეგ არ შეიძლება!  
შენ არ ჩაუგდებ ხელში რაბინებს  
მას გზასაგულს; შენ არ გაქვს ნება  
გასცე ჰელტონის მოწაფე მეთქი!...  
მე ტორშიაცა და ტალმუდშიაც  
მსურდა მეზოგენა თუნდ ერთი აზრი  
თანახმა იმ ღრმა მეცნიერების,  
რომელიც შემხვდა მე იმ წიგნშია...  
მაგრამ ამოდ, ვერა, ვერ ვბოვე;  
და რადგანაც მე ფიცი მივეცი  
რომ მე იმ წიგნსა გამოვიკვლევდი  
ტორთან, ტალმუდთან შედარებითა,  
ამისთვის მას წიგნს ზედ დავაწერე:  
„ებრაელი ებრაელი არ არის“.

ოხანი.

ღიად, მეც ვიცი, მაგრამ აქ სომ სწინს  
ორ-აზრეულება...

სილვა.

სრულიადაც არა!

მე ის დავწერე, რისთვისაც იგი  
მისცეს სასჯელსა, ვით ებრაელი.  
მაგრამ... მაგრამ ის ებრაელია?  
შეჩვენების და დენის წინაშე  
განა მან თავი უნდა დასხროს?  
არა! მას თუ სურს ქრისტიანობა,  
ნება აქვს იყოს!



საქართველოს  
ლიტერატურა

იოხანი.  
როგორ, დე-სილვა!  
სილვა.

მამინ შენ კვლად დაიბრუნებდი  
ტურფა ივლითსა...

იოხანი.  
რა შესძის ეს?  
განა ავოსტა ქრისტიანია?  
სილვა.

როცა ცხოვრობდა ისევე ვუენსში  
იმისი მამა,—იქ მოინათლა.  
შვილებიც მონასტერში გასარდა.  
შემდეგ, როდესაც აქ ცაღმოსახლდნენ,  
კვლად მიიღეს ებრაელობა.  
ავოსტაც მიჭყა მათს მაგალითს?  
თუ უნდა იმას სრული ნება აქვს  
უწოდოს თავის თავს ქრისტიანი.

იოხანი.  
ქრისტიანია?... ეგ სომ მას ივლითს  
საუფროდ კამოსკომის!  
სილვა.

რასაკვირველია... მამ ავოსტა  
დავიღწათ. შენ ხარ გაბრახებული,  
რისათვისაც შე შენ არ გძინავს,  
და მე?... ეგ, დროა სსქმეს შეუდგეთ.  
შენ მოიცადე აქ, სეიანში.

სინედრიონმაც იცის, რომ არის  
მანასეს სტუმართ შოკის ავოსტაც;  
ამისათვისაც აქვე მოვა  
მის დასაწყევლად თვითონ რაბინიც.  
მე მოშორებით ჩემთვის ვიდგები  
და ეს ამბავი როცა დაიწყო,  
შენ წინ წამოდექ და უთხარ იმას:

„ავოსტა, შენ ხარ ქრისტიანი-თქო!“  
ამით შენ ივლითს შეუცვლი გულისა:  
კარგად იცი, რომ ურთიელისთვის  
ქრისტიანობას ის არ მიიღებს.

მე კი, რომელიც ავოსტას მხოლოდ  
პატის ვცემ ისევე ვით მეცნიერსა,—  
ამით სიარტისა ავიცილებდი—  
ხლატონს შირნათლად შეგებობდი.

(მიდის. იოხანი სიხარულით თან მისდევს).

გამოსვლა მეექვსე.

მანასე და სხვა სტუმრები ტერასიდან ჩამოდიან. ივლითი  
და ურიელი სხვა შრიდან გამოდიან.

მანასე.  
რა, სვიმონ? დე-სანტოს აქ არის;  
ურიელ (შემოდის ივლითთან ერთად).  
დიად, ის არის...

ივლით.  
შერე რა ვუყოთ?  
რას ვნთი?... გრცხვენდეს! სად არის სილვა?  
(მუსია, რომელიც აქამდის უკრავდა, ჩუმდება).

რა მუსიკა? შენ რას გასუმიდი,  
შენ საბრალე გუფთ შუამავალა?  
ურიელ.

ივლით. ივლით, აკრა მოვიდა!  
(ისმის საყვირის ხმა; ყველანი შეკრთობან და ტერასის  
კენ მიბრუნდებიან).

გამოსვლა მეშვიდე.

ივლითი და რაბინი სანტოს, რომელსაც თან ოთხი რაბინი  
მოსდევს. ამ ოთხს რაბინს შირში საყვირები უჭირავთ  
და ხანგრძლივად, შედიდურად უკრავენ. ივლითი ტერას-  
ზედ რჩებიან. შემდეგ იოხანი და სილვა შემოვლენ.

მანასე (როდესაც საყვირის ხმა შესწყდება).  
მაუწყებელი შეჩვენების!  
და ეს ჩემს სსსლში...

სანტოს (დიდებული ხმით ტერასიდან).  
საყვირის ხმითა

მოგესალმებით აქ შეკრებილნი!  
ჩვენ ყველამ იგი დღე მოვიგონეთ,  
როს მამა-მთავარს ჩვენს აბრამს  
უნდოდა შეიღის მსხვერპლად შეწირვა  
ღმერთისთვის. მაგრამ უფალმა რქვა მას:

„დაუტყვე ეგ და მის მაგივრად  
შემომწირე მე მსხვერპლად იგი თხა,  
რომელიც აქვე ტყეში აბა“.  
აბრამმაც დაუტყვა მე თვისი  
და მართლის და უმანკო კაცის  
მაგივრად იმან დაჭკლა ცხოველი...

ოჰ, ძმანო, ვინც ღმერთს ისრაილისას  
მარად აღიდებთ,—გვერდზედ მოდექით!  
მამა აბრამის შთამომავალთგან  
უფალი ჩვენი მსხვერპლს არ თხოვლობს..  
შენ კი, ავოსტა, მხოლოდ შენ მარტო  
დაჩხები მანდა!

(ურიელს ყველანი მოშორდებიან; ივლითი ყოყმობს).

მანასეს ქალი?  
აქნება არ გსურს ისრაილის ღმერთს  
ემსახურო შენ?



(ივლითი ყოყმობით ნელ-ნელა შორდება და სხვეს უერთდება).

ურიელ (იქით).

ისიც გამშორდა!..

სხანს ანდამატი სულელურ რატვის ძრეული აჩის (სანტოსს). ნუ თუ, რაზინო, გოანია იდგე აქ სინაიზე?

რომელმა მოსემ ამოგიჩინა თავის სიტყვების წარმოსათქმელად? ვინ მოგცა ნება, რომ განაკებდე შენ ჩემს ბედს და უბედობას?

სანტოს.

თუ შენ ნამდვილად ებრაელი ხარ, გეტყვინებ ვინც მომცა ნება: მალაქმა ღმერთმა!

იოხანი (წინ წაბოძებდა).

შემატებინეთ,

რამ მოხდა აქა? რა ამბავია?...

დე-სანტოს, ნუთუ გინდა რომ მიგტყენ ჩვენ სუვევლანა პასუხის გებას?

თუ ამსტერდამმა მოგვცა ჩვენ ნება, რომ ჩვენი საქმე ჩვენვე განვაგოთ და სამართლიც ისეთი გვქონდეს, როგორცაა გვიწერს ებრაელთ სჯული, — ამისი ნება მოგვცა ჩვენ მხოლოდ შესასხებ ჩვენის ებრაელების და აკოსტა ვა-ქრისტიანია.

ყველანი.

ქრისტიანია!

ივლით.

ოჰ, ღმერთო ჩემო!

იოხ. ი. (იქით).

და თქვენ გინდათ, რომ ეს შეაჩვენოთ? ისრაელის ძე ვერ შეაჩვენებს ქრისტიანს ვაცს.

ივლით (იქით).

რამაც ის იღონა

იგი მე მღუპავს

სანტოს.

ოუ რომ აკოსტა

ქრისტიანია, ბაკენი ჩემი დადუმიდებანი. (დანარჩენი ხელით ლოცავს).

გარდმოუვლინე

ისრაელის ძეთ უფალა მადლი

და მშვიდობა!

ურიელ

ვინ ამტკიცებს მაგას?

ვინ ამბობს...

იოხანი.

ამაშენს სახლობითურთ

ამაშენს სახლობითურთ

დიდი ხანია გამაუცვლელი,

და ჯერ არაფრით დამტკიცეთ, რომ ვკვლად გახდით ებრაელები...

შენ ესლა ისე-ქრისტიანი ხარ და ჩვენ პატივად უნდა მიგვანდეს თქვენი სტუმრობა...

მანასე.

წავიდეთ დროით!

დიდი ხანია მეჯლისი გველის.

და ქრისტიანმა აკოსტამ უნდა მოგვითქოს, თუ საჭმელ-სასმელს ისეთს ვინმარბოთ, როგორცაა გვიწერს ჩვენ ჩვენი სჯული...

ურიელ

დასედე ამით!

მე-ქრისტიანი ვარ? როგორც ჩხედავ, თქვენ გსურთ დაცინვით გამოიღოთ კარი შებრალებისა უწმინდურ გულით?

ეური დამიგდეთ. ისე ურმა ვიყავ, როცა მომნათლეს უცხად, უცხად.

არც ჩემს დედ-მამას, არც მე, არც და-ძმებს არ მიგვიღია სჯული ქრისტესი

მღვდლისგან, არც ოქროს და არც დიდებს ქრისტიანებად არ გაუხსნივართ, —

არა, ჩვენ გვეკანდნენ მიმრქმელებათა ჯალათნი წმინდის ინკვიზიციის.

ქრისტიანების ერთსა სკოლასში შეიდა წელიწადსა ძალად დაუყვადით და გვაშინებდნენ გზა-გზა წამებით...

შიმ ქვეშ ვიყავით და თუ რომ შიში საძირკველია საწმინდობის,

ჩვენ ვერავინ ცილს ვერ დაგვწამებდა, რომ არ ვიყავით ქრისტიანები!..

დრო გადიოდა და მეც თან-და-თან გონება უფრო მინათლდებოდა

და როგორცაა ესლა მსედავთ მე გახვდი ახალის სჯულისა მადლით.

მე ჩემს წინაშე გზას სსნილს უხედავდი გულ-გონების სავარჯიშებლად,

მე თავისუფალ კაცად ვგრძნობდი თავს; მეც შემეძლო ის შემუყარებოდა,

რაც სსვას უყვარდა და მშინებოდა იმისი, რისაც სსვას ეშინოდა.

მეც, როგორც სსვასა, მიცემდა ძაღლი

მეც, როგორც სსვასა, მიცემდა ძაღლი

ჩვენს დიდებულ დროთ მოგონებაზედ.  
 მა მამის ვიყავ უბრალოდ,  
 სამშობლო მხარე, ანსების ნება—  
 სუველად მქონდა!.. მაგრამ დასჯეთ,  
 ჩემი სახლობა, მეც მათთან ერთად,  
 გამოვიქვეით ნიდეკლანდშია.  
 აი აქ მხოლოდ, ამ ქვეყანაში,  
 მათ თავისუფლად ამოისუნთქეს,  
 ყველა მათგანი ეჩქარებოდა  
 მოწმენდას ჩირქის ნათლის-ღებისას.  
 მამა გაუსდა მათ მაკალითად  
 და კვლავ განდნენ ებრაელები.  
 მათს მატალითს მივუყვი მეც?  
 ვინც ივითხვავთ. პირ-და-პირ გეტყვით:  
 კმა-ყოფილებით მივეცემოდა  
 მას, რაც ყველასთვის საზოგადოა,  
 განტალკეებულს ჩვენს ცხოვრებასა  
 დაუტოვებდი და მივეცედი თავს  
 წყაროსა ქვეყნის მოძრაობისას, —  
 და ნებაც მქონდა მე ამის ქმნისა,  
 მაგრამ არ ვქეძე... და რისთვის?  
 ამაზედ თქვენ მე ნურათყვანს მკითხვავთ.  
 მაშ იღსებმა სინაზრულისგან  
 რისთვის იტირა გეკვიპტეშია,  
 რომს მასთან იგივე ძეგლები მივიდნენ,  
 რომელთაც იგი სხვებზედ გაუიდას?  
 თუმიც გვეჯავრება იგი ფაქსა,  
 რომელიც თვითონ ჩვენ მოვიტანეთ  
 აღმოსავლეთით, ვით ჩვეულება, —  
 მაგრამ ჩვენ იგი აწ გვაკავშირებს,  
 თუმიც ეს ვავშირი თვალთ-მაქცობაა.  
 დაძველდა უკვე ჩვენი ვავშირი,  
 მას მხოლოდ ერთს სასული იცავს  
 განსწილებებისგან, — და ეს სასული  
 მიბრძანებს ვიყო მეც თქვენი მოძმე.  
 თქვენ, მართალია, ჭოლანდიში  
 როგორათაცა ერთს გიუფრებენ,  
 მაგრამ აქაც სომ ისევე ცხოვრობთ,  
 ვითა ცხვრისათგან მგლისგან დამფრთხალი,  
 და ქრისტიანის უბრალო სურვილს  
 ემორჩილებით და ემონებით.  
 საკმაო არის მცირე რამ იქვი,  
 რომ თქვენ ხელ-ახლად, ვით აღასფერძს,  
 დაიწყოთ მარად დღე-ღამე ტანტალი,  
 დარში, ავდარში, დაუსვენებლად!..  
 მერე? როცა თქვენ ასე მოგვით,

მე უნდა ჩრდილ ქვეშ განვიხილებდე  
 მწვანე ხალხზედ? არა, ტანჯვა მსურს  
 დატანჯულებთან. შეჩვენებისა  
 ნება გაქვსთ თქვენა: ებრაელი ვარ!  
 სანტოს.

თუ მისთვის ჩემო ებრაელობას,  
 რომ ჩვენ აკვიდრო აგრე მასხანად, —  
 სჯობს ისე დაჩრე ქრისტიანადა.  
 შენი თხზულება დაწვით ცეცხლშია  
 და შენ მივცით შეჩვენებას!  
 შენს ღოცვას ზეცა როდი შეისმენს,  
 ყოველი შენი სიტყვა შესმათ  
 და შენი სუნთქვა-სამი ღა ჭირი.  
 ყური დაუგდე წვეკლას, ცოდვილო:  
 ვის კარებსაცა დაურახუნო  
 გაგიღოს იგი ხელმა მტრისამა!  
 შესმათ და ბრახათ გაქცეს წამალი  
 ავად-მყოფობის დროს დალეული!  
 სულიცა ტანჯვით დაგიკვი  
 ტილს აღიღას.

ყველანი (თავჩაღუნულნი).  
 ოჰ, უბედურო!  
 სანტოს.

იარე ბრძოლა და წვეულ იყოს  
 ვინც მოგცეს ხელში შენ უავარჯენი!  
 მიწა გასკდეს და თან ჩაგიტანოს,  
 როცა წაიქცე...

ყველანი  
 შე უბედურო!  
 სანტოს.

ვეღისამ შენ უკვე გაგაგონა,  
 ჩემის პირითა იგი გწვეულის შენ  
 და იმ საშლსაც, რომლისაგანაც  
 შენ დაიბადე...

ურიელ (იქო),  
 ოჰ, დედა ჩემო!  
 სანტოს.

წვეულიც იყვნენ ის მეგობრები,  
 რომელთაც შენა გაჭარბების დროს  
 უნუგეშოდა არა დატოვონ!  
 წვეულიც იყვნენ ისინიც, ვინცა  
 მცირედაც არის თანაგვირმობენ!  
 წვეულიც იყოს ყველა, რასაც ვი  
 შენ უწმინდური ხელი შეახო!  
 ისე დადნები სიყვარულისგან,  
 რომ ვერ გაიგებ ვერც ერთ ქალისგან.  
 მსურვალე აღერსს...



ქართული  
ენების  
საქართველო

# პრიტიკა და გიგლიოგრაფია

(გავრკელება)

ანლა გადავიდეთ მეთოდის სახელ-მძღვა-  
ნელს წიგნს შინაარსზედ. ერთის შეხედვით, რა  
გინდათ. რომ ამ პატარა წიგნში არ მოიპოვე-  
ბოდეს? გამოკვლევა ძველის და ახლის სწავ-  
ლის მეთოდებისა, სახმო მეთოდის უმთავრესნი  
დირსებანი ბ. ბ. დისტერველის, უმინსკის და  
პიროპოლსკის აზრით, ნმების გამოკვლევების  
სისტემა, გეგმი და სხვ. და სხვანა. ერთის სიტ-  
უვით, რა გინდა, სულო და გულო, რომ ამ  
პაწაწა წიგნაგში არ იყოს მოქცეული? მაგრამ  
სწორედ აი ამისთანა წიგნზეა ნათქვამი: „მო-  
რიდგან მტერს უყენებ თვალსაო და ახლოდ-  
გან მოკეთესაო“. უველაზე ისე მოკლედ, სუს-  
ტად არის ნათქვამი წიგნში, რომ დიდი საძნე-  
ლოა ამისი გაგება იმათთვის, ვისაც ზედ მიწევ-  
ნით და კარგათ არ შეუსწავლიათ სწავლის მე-  
თოდები. წიგნი დაიწყება ისტორიული აღწე-  
რით ძველისა და ახალი სწავლის მეთოდებსა.  
მაგრამ რომ ვკითხვით ავტორს რა საჭიროები-  
სათვის არის აქ ჩართული ისტორიული მე-  
თოდების გამოკვლევა, ძალიან საეჭვოა, რომ  
მან რაიმე პატივ-დასაღები საბუთის წარმოდგენა  
შეიძლოს. ბ. ავტორს გაუგია, რომ ალია მო-  
კვდაო და ის კი ვერ შეუტყვია, თავი საით უქ-  
ვესო? მას შეუტყვია, რომ ვისაც სურს საფუძ-  
ვლიანად და ვრცლად გამოიკვლიოს რამეო,  
უნდა წინადაურთოს მას ისტორიული საგნის  
აღწერაო, მაგრამ ეს კი დავიწყება, რომ ისტო-  
რიულ საგნის აღწერას მაშინ აქვს აზრი და  
მნიშვნელობა, როდესაც მასზედ არის დაფუძ-  
ნებული ავტორის საკუთარი გამოკვლევა და  
დასკვნა. მაშ, ვკითხვით როგორ ისარგებლა ბ.  
ნათაძემ ისტორიული მეთოდების აღწერით?  
ვერც როგორ: აბა კაცმა ღაპანაგი დაიწყო თი-  
თქმის ადამიდგან და ეს სულ იმიტომ, რომ  
ეთქვა, რომ ჯერ ასწავლიდნენ ასოთა შემაერ-  
თებელი მეთოდითო, შემდეგ გამოიგონეს სი-  
ლლაბიური მეთოდით, შემდეგ სხმო (ბგერითი)  
სინტეტიკური მეთოდით, შემდეგ სახმო ანალი-  
ტიკური და ბოლოს საუკეთესო სინკტიკური

ულო. ხოლო თვითონ კი არა ვითარს მნიშ-  
ნელობას ბრძიდევს ამ ისტორიულ მეთოდების  
პროდერესს, რადგანაც უქცევს გზას აღნიშნულ  
სინკტიკურ მეთოდს და ჩამოურვევს უკან  
ისევ ძველს ანალიტიკურს სახმო მეთოდს (ინი-  
ლდე გვერდი 22-26 ბ. ნათაძის მეთოდური  
სახელ-მძღვანელო წიგნისა). მაშ, ესე ისარგებ-  
ლეთ, ბატ. ავტორო, ისტორიული მეთოდ-  
ების გამოკვლევით?! თუ რომ ისტორიულ გა-  
მოკვლევას არაფერს მნიშვნელობას არ აძლევ-  
დით, ვინ დაგაძალათ, რომ ნამდვილად წარ-  
მოდგედინათ მისი აღწერა, ხოლო თუ აძ-  
ლევთ რაიმე მნიშვნელობას, რა მიზეზია აუქ-  
ციეთ გზა სინკტიკურს და მიმართეთ ძველს  
ანალიტიკურს სწავლის მეთოდს?

ბ. ნათაძე თავის სახელ-მძღვანელო წიგნის  
3, 4, და 5 გვერდზე სწერს: სახმო წესი (წესი  
კი არა, მეთოდა) ჩვენში. საქართველოში, არ  
არის დიდი ხანი, რაც გავრცელდა. წინად მე-  
ფობდა ესრეთ წოდებული ასოთა შემაერთებ-  
ელი წესი სწავლისა და ხანდისხან სილლაბიურ  
წესსაც ხმარობდნენო რომ საქართველოში  
უწინ მეფობდა ასოთა შემაერთებელი სწავლის მე-  
თოდა, ეს მართალია, მაგრამ ის კი სრული  
ტყვილია, მითამც ხანდისხან სილლაბიურ  
წესსაც ხმარობდნენ ბ. ელნიცკის, რომლის  
წიგნიდგანაც აქვს ბ. ნათაძეს ეს ნათარგმნი,  
სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა ეს შესახებ  
რუსეთისა, რადგანაც მათ მწერლობაში იყვნენ  
ამ მეთოდის მიმდევარნი: ამ მეთოდით არის შე-  
მდგარი, მაგალითად აზრიანი ბ. კრემლოვისა  
«Способъ обученія русскому чтенію Спб. 1853 г.  
ბ. ბოლდირევისა «Азбука въ 24 урокахъ. Мос-  
ква, 1869 г. მდვდელის ნიკოლსკისა „Азбука“  
1871 г. მაგრამ ჩვენის მწერლობაში კი ერის  
წარმომადგენელსაც ვერა ვნახამთ ამ მეთოდისას.  
ამის დასამტკიცებლად საჭირო არ არის შორს  
წასვლა: ჩვენს მწერლობაში მოიპოვება სულ  
ემქსად-ემქსი ანბანის წიგნა: ბ. ბ. ფურცელაძი-  
სა, იოსელიანისა, კერეკელიძისა, მდივანოვისა ან-  
პატელოვისა და გოგებაშვილისა, — გადაშინ-  
ჯეთ, ბ. ავტორო, და დაწმუნებით, რომ უვე-  
ლა ესენი არიან მიმდევარნი ან ძველი ასოთა-  
შემაერთებელის და ან სახმო მეთოდისა. აი, ამის-  
თვის მოგახსენეთ ბ. ავტორო, რომ პირ-ადებით



ბრძოლის  
გეგმვა

უვალს თარგმნა არ შეიძლება, უვალს ხომასო  
აქვს ჩვენში ალაგი, რაც რუსეთში მომხდარა!!

(გაგრძელება.)

ჭოუელი.

## ან ე გ ლ ო ტ ე ბ ი

ერთი ბერი მივიდა მსაჯულთნ და ინიულა: შეი-  
ლები არ მინასვენო.

— წადი დედა შინა! გარდაუწყვიტა მსაჯულთნ:  
შენს შეილებს მე უბრძანებ,— შეგინახონო

ერთს მოსწავლე ქალს ჰკითხეს: „მამა ჩვენო“  
იცოდა? — ვიცოდა! მიუგო ქალმა. — ახა სთქვიო! ქალი ვი-  
თხულაბს: „მამა ჩვენო... ცათ შინა...“ რომელი  
ხარ ვი დანვიწუდა და გაუსწორეს: „რომელი ხარ“  
ქალს ეს გასწორება კითხვა ეგონა და მიუგო. „მე ბა-  
ტონო, ბარბანე გახლავარო!“

ერთი ღრამატივისი მსაწავლებელი სახლში იყო მო-  
წვეული. მთელი ეს საღამო ისე გაატარა, რომ ხმა არ  
ამოუღია. ქალებმა შეამჩნიეს თუ არა ეს, მივიდნენ და  
ჰკითხეს: რისთვის არ იღებს ის მონაწილეობას მათ  
ბახსში.

— მანდილოსნებო! მიუგო მან. რამოდენიმე ხმოვან  
ასოებს შორის საჭიროა იქმნეს უხმო ასოც!...

ერთმა ახალ-გაზდა აფიცრამაო მის შემდეგ დაიკვირ-  
ნა თავის ნაცნობებთან:

— აი ამ სრმლით ერთხელ თათარს მარჯვენა  
ხელი მოჰკურია!

— რატომ თავი არ მოჰკურია? ჰკითხეს მას.

— თავი უკვე მოჰკურია ჰქონდაო! მიუგო აფიცრამა.

სარატოვის გუბერნიის სასამართლოში იქაური  
ადვოკატი ქადაგობდა, რომელშიაც სხვათა შორის  
წარმოსთქვა: „კინა ხარ შენ კაცო!“

— მე კავსგოლმსკის პოლკის სალდათი განლა-  
კარ, თქვენო ღირსებავ, მიუგო სალდათმა, რომელიც  
ადვოკატის ზირ-და-ზირ იდგა.

## რამე-რუმე

თუ რამოდენად იხლართება ნათესავობა ინგლისში  
ამის გვიჩვენებს ერთი ნუ-იორკის მცხოვრების წერი-  
ლი თავის მეგობართან. „მე შევირთე ჭერივი ქალი,  
რომელსაც თან გერი მოჰყვა, გავიდა რამდენიმე ხანი და  
ამ გერზედ მამა ჩემმა დაიწერა ჟვარი. ასე, რომ ჩემი  
ცოლი ერთსა და იგივე დროს მამი ჩემისა რამდენც იყო  
და სიდედრიც. ესა ჩემი ცოლის გერი მე დედათ მო-  
მხვდება, მე ვი მის შეილად ვითვლება. ამ უვანასკნელს  
ე.ი. ჩემი ცოლის გერს შეილიეულოა ეს მისი შეილი ჩემი  
მაც არის, რადგანაც მამი ჩემისა და დედი ჩემის შეი-  
ლია და იმავე დროს რავი ეს ემწვილი ჩემი ცოლის  
გერის შეილია ჩემი ცოლი მას ბუბათ ერგება. და თუ  
ჩემი ცოლი მისი ბუბა, მამსადამე მეც ჰანა ეყოფილ-  
არ!...“

რედანქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

**დედა-ნა** ანუ ანბანი და პირველი სა-  
კითხავი წიგნი, **მისეში ბამოსემა**, შეცვლილი  
და შევსებული, დაიბეჭდა და ისუიდება გამომ-  
ცემლის გრიქუროვის მადანაში. ამ ახლის  
გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის  
შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დე-  
დანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი  
საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშო-  
ებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათე-



საქართველოს  
ბიბლიოთეკა

ბით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—სადმართო ნაწილი იპურობს პირველის წლის კურსსა ორივე ადგილას მოთხრობისას, სურათებ ს. სადმართო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზე ერთი თაბანი, იუნ 32 გვერდით, დიდია, მაგრამ ფასი კი შეუცვლელად ერის დარჩენილი. გამომცემელი გრიქუროვის მაღაზია იყოფება გუგის ხიდის უერთან, ბაღის პირ-და-პირ. (5—3)

გამოვიდა და ისუილება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

## ქართული წერის დედანი

მ. შ ა ბ ი ჩ ვ ა ძ ი ს ა .

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იუიდის, ეგზემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეგზავნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2.) დაპატარავებული საშუალო გრგვალი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) გადახრილი (НАКЛОННЫЙ) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით. დედანს აქვს სულ 24 გვერდი.

## „თეატრის“ რედაქცია.

მომავლის წლისათვის განაგრძობს ხელის მოწერის მიღებას.

გასეთი „თეატრის“ პროგრამა მომავლის წლისათვის ისევე ის დარჩება, როგორც წინ-წლებში. დაიბეჭდება: სსუათა შორის მოთხრობანი როგორც ორგინალი აგრეთვე საუკეთესო უცხო თსულებათა თარგმანები, ჰიესები: ვოდვეილი, კომედიი და ტრაგედიი; ანეკდოტები: მოსწრებული სიტყვები, გასართობენი სასაცილო ამბები და სხვა. გამოცანები; ხალხური, სამატემატიკო, საართმეთიკო; ანდაზები, იგავები ლექსები: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; გარჩევა ჰიესებისა და წარმოდგენებისა, რეცენსიები და სხვა.

ფასი გასეთისა წლით 5 მ. ნახევარწლით 3 მ.

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ.

პეტრე მირიანაშვილი  
ადრესი „თეატრის“ რედაქციონში.



газеты

# „КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Бывшее «юридическое обозрѣніе»)

ГОДЪ СЕДЬМОЙ

Издавая въ теченіи шести лѣтъ „Юридическое Обозрѣніе“, посвященное изученію юридическихъ вопросовъ, судебной практики и правовой жизни, редакция журнала, въ виду нарождающихся потребностей, признала необходимымъ расширить программу и съ 1-го Января 1887 года издавать ежедневную политико-литературно-юридическую газету, подъ названіемъ „Кавказское Обозрѣніе“

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичныя, иногородніе и мѣстные Кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели,—специалисты по разнымъ отдѣламъ изданія.

Газета будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ-воскресныхъ дней, въ количествѣ 350 №№ въ годъ, въ форматѣ обыкновеннаго газетнаго листа, по слѣдующей программѣ:

1. Статьи по вопросамъ: а) теории и практики права и судопроизводства, экономическимъ финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по общему праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлю, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.—III. Судебное обозрѣніе (судебные отчеты и кассационныя рѣшенія)—IV. Общественное Обозрѣніе (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. Тифлисское и кавказское Обозрѣніе (новости и корреспонденція).—VI. Русское Обозрѣніе.—VII. Иностранное Обозрѣніе.—VIII. Обозрѣніе русской и иностранной періодической печати; критика и библиографія.—IX. Торговопромышленное Обозрѣніе (торговопромышленныя свѣдѣнія и курсы).—X. Фельтонъ: романы, повѣсти, рассказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. Послѣднія новости и телеграммы.—XII. Смѣть.—XIII. Театръ и музыка.—XIV. Справочный указатель (резолуція Тифлисскихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляционнымъ кассационнымъ и пр.).—XV. объявленія.

## Условія подписки:

РЕДАКЦІЯ И АДМИНИСТРАЦІЯ ГАЗЕТЫ (для пріема подписки, объявленій и разначной продажи)—ТИФЛИСЪ, Сололаки, Нагорная улица, д. № 21.

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою.)

Въ Россіи	Руб.	коп.	За границею:	Руб.	коп.
На 12-ть мѣсяцевъ	—	12	На годъ	—	19
— 6 — — —	—	6	поль года	—	10
— 3 — — —	—	3			
— 1 — — —	—	1			

для г. г. студентовъ годовая плата—9 р., съ разсрочкою: при подпискѣ, въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Отдѣльные №№ газеты по 5 коп.

ОБЪЯВЛЕНІЯ, за занимаемое мѣсто, строка петита 5 коп.; при неоднократныхъ объявленіяхъ, дѣлается скидка.

Подписка на газету и объявленія также принимаются: въ Тифлисѣ: въ типографіи „Кавказское Обозрѣніе“ (Дворцовая улица, каравансарай, бывшій Арцруни) и въ Центральной книжной торговлѣ, въ Петербургѣ и Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: И.И. Анисимова и „Новаго Времени“, въ Харьковѣ—въ книжн. магаз. „Новаго Времени“, въ Одесѣ—у Распопова, въ Варшавѣ—у Райхмана и Френдлера и др.

При доставленіи въ редакцію экземпляра сочиненія юридическаго или иного содержания о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація

Редакторъ—издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.